



საბაზისო ცოდნისა და აღქმის კვლევა, საქართველოს სასამართლო სისტემის შესახებ

საბოლოო ანგარიში




კვლევა მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) “სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერის” პროექტის დაკვეთით.

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მის ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაერთიანებული ერების ან გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.

რესპონდენტების 66.1% ფლობს ინფორმაციას, რომ საქართველოში უნდა ამოქმედდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად მოიმატა 2007 წელთან შედარებით - მაშინ ამ ინფორმაციას ფლობდა გამოკითხულთა მხოლოდ 39.9%.

გსმენიათ თუ არა იმის შესახებ, რომ საქართველოში უნდა ამოქმედდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?



თუმცა, მხოლოდ 26.7% იცის, რომ გადაწყვეტილებას ბრალეულობის შესახებ მხოლოდ ნაფიცი მსაჯულები (და არა მოსამართლე და/ან ნაფიცი მსაჯულები და მოსამართლე ერთად) იღებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პარამეტრმა მნიშვნელოვნად დაიკლო 2007 წელთან შედარებით - მაშინ სწორ ინფორმაციას ფლობდა გამოკითხულთა 42.7%.


გამოკითხული რესპონდენტების 62.2% არ დათანხმდებოდა ნაფიც მსაჯულად არჩევას. ამასთანავე, 59.4%-მა არ იცის, რომ ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება, საქართველოს მოქალაქის მოაქალაქეობრივი ვალდებულებაა, რაც რესპონდენტების 30.1%-სათვის სავსებით მისაღებია, ხოლო 32.4%-სათვის მხოლოდ ნაწილობრივ მისაღები.

კითხვაზე „რამ შეიძლება გახადოს მოქალაქის მიერ ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება პრესტიჟული?“, გამოკითხულთა 21.9%-მა პასუხი ვერ გასცა. ყველაზე ხშირად რესპონდენტები პასუხობდნენ „სასამართლომ მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილებები“ (19.4%) და „სამართლიანობამ“ (12.9%). დანარჩენი პასუხები დასახელებული იყო 5-8 რესპონდენტის მიერ (იხ. დანართი 2).

გამოკითხულთა უმრავლესობას (83.6%) სჯერა (33.0%), ან ნაწილობრივ სჯერა (50.6%), რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება რეალურად უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას.

რეგიონების მიხედვით იცვლება სურათი, თუ რომელი რეფორმების შესახებ სმენიათ. საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულები იყვნენ თელავში (54.0%) და ქუთაისში (58.4%), მაშინ, როცა ზუგდიდში გამოკითხულთა 81.0%-ს სმენია ამ რეფორმის შესახებ.

გსმენიათ თუ არა იმის შესახებ, რომ საქართველოში უნდა ამოქმედდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?




ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე ბრალეულობის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვთ მხოლოდ ნაფიც მსაჯულებს, ფლობდა ბათუმის რესპონდენტების 41.9% და თბილისის 35.4%, ხოლო ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულები აღმოჩნდნენ თელავში გამოკითხულები (6.0%).

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება, რომ საქართველოს მოქალაქის მოქალაქეობრივი ვალდებულებაა იცოდა ზუგდიდში გამოკითხულთა 56.0%-მა, ბათუმში - 51.9%-მა, ქუთაისში - 48.0%-მა, ხოლო თელავის რესპონდენტების მხოლოდ 19.0%-მა.

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება, რომ წარმატებული იქნება, ყველაზე ნაკლებად სჯერათ თელავში (3.0%), ხოლო ყველაზე მეტად - ზუგდიდში (58.8%). იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომელთაც საერთოდ არ სჯერათ რომ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება წარმატებული იქნება, ყველაზე მაღალია თბილისში (12.8%).

რამდენად გჯერათ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება წარმატებული იქნება - რეალურად უზრუნველყოფს სასამართლოს მაქსიმალურ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას?



სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების ფონზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტარდება კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს ამ ცვლილებების პარალელურად იკვლიონ მოსახლეობის დამოკიდებულებები, სამართლებრივი ცოდნის დონე და ა.შ. ამ შემთხვევაში განვიხილავთ ”ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების ინფორმირებულობა და დამოკიდებულება”¹.

- გამოკითხული რესპონდენტების 62.1%-მა იცის რა არის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ამ ინფორმაციის წყაროდ ისინი ასახელებენ ტელევიზიას, მხატვრულ ფილმებს, ლიტერატურას და ა.შ.;
- გამოკითხული მოსახლეობის 60.1% არ იცის, რომ რეფორმის ფარგლებში უნდა მოხდეს საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვა. ხოლო იმ რესპონდენტების 68.6%, რომელიც ინფორმირებული იყო ამ ინიციატივის შესახებ, ინფორმაციის წყაროდ ასახელებს ტელევიზიას;
- რესპონდენტების უმრავლესობა არაინფორმირებულია, თუ ვის გამოაქვას გადაწყვეტილება ბრალეულობის შესახებ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე. ასე მაგალითად, გამოკითხულთა 37.4%-ს მიაჩნია, რომ გადაწყვეტილება ბრალეულობის შესახებ გამოაქვს მოსამართლეს და ნაფიც მსაჯულებს ერთად;
- გამოკითხული რესპონდენტების დამოკიდებულება ნაფიც მსაჯულთა სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით დადებითია (59.6%). თუმცა, უჭირთ თავიანთი დამოკიდებულებების განმსაზღვრელი ფაქტორების დასახელება. ამავე დროს გამოიკვეთა რომ დადებითი დამოკიდებულება დიდწილად განპირობებულია ახლანდელი სასამართლო სისტემის მიმართ კრიტიკული განწყობით;
- კითხვაზე თუ ვინ არ შეიძლება იყოს ნაფიცი მსაჯული, გამოკითხულთა უმრავლესობა არასწორად პასუხობს;